**მომხს:** ფ. ყუშიტაშვილი

<u>**პროექტი**</u>

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №**

**„-----“ სექტემბერი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №08 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

**2.** განკარგულების დანართი „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

**3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**4.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **თენგიზ მთვარელიშვილი**

*დანართი*

# თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა

| № | დასახელება | აღწერა | განხორციელების პერიოდი | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | კულტურული ინიციატივები | სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისგან შემოსული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა | წლის განმავლობაში | 30 000 |
| 2 | კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია | კულტურის სფეროში მოღვაწე თელაველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს ლექსების კრებულის, მხატვრული ნამუშევრების კატალოგის გამოცემასა და სხვა სახის მხარდაჭერას | წლის განმავლობაში | 22 100 |
| 3 | ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიება | თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება ფულადი ჯილდოს სახით, რომელთაც სრული ზოგადი განათლების მიღება დაასრულეს ოქროსა და ვერცხლის მედლებზე | წლის განმავლობაში | 30 000 |
| | **მთლიანი ბიუჯეტი** | | | **82 100** |